www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ

2018

იანვარი-სექტემბერი

30.10.2018

www.geostat.ge

30.10.2018

ინფორმაცია მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ

(2018 წლის იანვარი-სექტემბერი)

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2018 წლის იანვარ-სექტემბერში გაცემულია 7702 ნებართვა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4,6 პროცენტით ნაკლები) 4536,9 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10,2 პროცენტით ნაკლები). აღსანიშნავია, რომ ნებართვების 72,0 პროცენტი გაცემულია ქვეყნის 3 რეგიონში, კერძოდ: ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაობის 48,0 პროცენტი ქ. თბილისშია, 13,2 პროცენტი – აჭარის ა.რ.-ში და 10,8 პროცენტი – ქვემო ქართლის რეგიონში.

მშენებლობაზე გაცემული ნებართვები რეგიონების მიხედვით, 2018 წლის იანვარი - სექტემბერი



უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის იანვარ-სექტემბერში ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სასტუმროების, სავაჭრო ობიექტების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა - ნაგებობების მშენებლობაზე. გაცემულ ნებართვებში შედარებით დიდი წილით წარმოდგენილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები.

დამთავრებული მშენებლობების ნახევარზე მეტი 56,1 პროცენტი ქვეყნის 3 რეგიონზეა განაწილებული, კერძოდ: 28,9 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 15,6 პროცენტი – კახეთის რეგიონზე, ხოლო 11,6 პროცენტი - ქვემო ქართლის რეგიონზე.

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტები რეგიონების მიხედვით, 2018 წლის იანვარი-სექტემბერი



2018 წლის იანვარ-სექტემბერში ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 1453,5 ათასი კვ.მ ფართობის 1830 ობიექტი, რაც 15,9 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის პერიოდის მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge